USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოება

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

ივნისი 2015 - სექტემბერი 2020

USAID/PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, უფასო იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების გზით უზრუნველყოფენ ქალების და უმცირესობების (რელიგიურ, ეთნიკურ და ლგბტქ თემის) უფლებების დაცვას საქართველოს საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო ორგანოებში.

2015 წლის ივნისი 2020 წლის სექტემბრის პერიოდში, USAID/PROLoG-ის გრანტიორი ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების მეშვეობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და გაიზარდა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სფეროში:

81,649
კონსულტაცია

12,549
სასამართლო წარმომადგენლობა

390
გასვლითი შეხვედრა

37
წარმატებით დასრულებული საქმე

რელიგიურ უმცირესობათა უფლებები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საგადასახადო კოდექსის დისკრიმინაციული ნორმა, რომელიც მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ათავისუფლებდა ტაძრების და ეკლესიების რესტავრაციის, მშენებლობის და მოხატვის შემთხვევაში დამატებული ღირებულების გადასახადისგან.
- საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის დისკრიმინაციული ნორმა, რომელიც მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსთვის უშვებს შესაძლებლობას, უსასყიდლოდ მიიღოს სახელმწიფო ქონება, სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის კი გამორიცხავს იგივე შესაძლებლობას.
- თბილისის საქალაქო სასამართლომ, სააპელაციო სასამართლომ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ რელიგიური ორგანიზაციებისთვის სამლოცველოს მშენებლობის უფლების შეზღუდვა არაკანონიერად და დისკრიმინაციულად მიიჩნია და განმარტა, რომ რელიგიის სააგენტოს რეკომენდაცია არ შეიძლება იყოს რელიგიური ნაგებობის მშენებლობაზე ნებართვის გაცემის წინაპირობა, რადგან კანონში ამგვარი მოთხოვნა არ არსებობს.
- სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განახორციელოს ცვლილებები ერთიანი ეროვნული გამოცდების მარეგულირებელ აქტში, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზების პროცესში აბიტურიენტების რელიგიურ საჭიროებებს გაითვალისწინებს.

ქალთა უფლებები

უზენაესმა სასამართლომ ფემიციდის საქმეებში, მსხვერპლის სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღკვეთისა და მოქალაქეთა სიცოცხლის უფლების დასაცავად სამართალდამცავი ორგანოების მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფოს მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების პრაქტიკა დაადგინა.

პერსონალური მონაცემები

საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა რეგულაცია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ პერსონალური მონაცემების უვადოდ შენახვის შესაძლებლობას აძლევდა.

ბავშვის უფლებები

- თბილისის საქალაქო სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული COVID-19 წინააღმდეგ მიმართული ზომების პირობებში. სასამართლომ ბათილად ცნო საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ დაწესებული ვალდებულება უცხოეთიდან შემოსული პირებისთვის სავალდებულო კარანტინის შესახებ და ნება დართო მოსარჩელეს ყოფილიყო თვითიზოლაციაში საკუთარ ბინაში ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საკარანტინო ზონაში დარჩენის ნაცვლად.
- სააპელაციო სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო და ბავშვების თანდასწრებით ერთი მშობლის მიერ მეორე მშობლის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება ფსიქოლოგიურ ძალადობად აღიარა.

ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია

სახალხო დამცველმა სადაზღვევო კომპანია „არდის“ მხრიდან ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა და აღნიშნა, რომ სადაზღვევო კომპანიის შიდა პოლიტიკა, რომლითაც ასაკობრივი ზღვარი 70 წლით განისაზღვრება და მომსახურებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს, ჯანმრთელობის მდგომარეობის ინდივიდუალური შეფასების გარეშე, დისკრიმინაციულია.

სექსუალური ორიენტაციისა და საქმიანობის სფეროს ნიშნით დისკრიმინაცია

საქართველოს სახალხო დაცველმა აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან სექსუალური ორიენტაციისა და საქმიანობის სფეროს ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა და რეკომენდაციით მიმართა მათ, შეიმუშავონ დისკრიმინაციის აკრძალვის და პრევენციის პოლიტიკის შიდა დოკუმენტი და მომავალი საქმიანობა წარმართონ თანასწორობის პრინციპის დაცვით.

გათავისუფლება საჯარო სამსახურიდან

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა განაცდური ხელფასის ანაზღაურებისთვის აუცილებელ წინაპირობად. შედეგად, უკანონოდ გათავისუფლებული მოხელეები კომპენსაციას იმის მიუხედავად მიიღებენ, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტს თუ არა მათ შესაბამის პოზიციაზე აღდგენას.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები

საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახალხო დამცველის აპარატისთვის მიმართვით, საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საქართველოს ბანკში პირადი ანგარიშის გახსნა უკვე შესაძლებელია. ამ და სხვა საბანკო უფლების რეალიზებას ისინი ვერ ახდენდნენ რასობრივი დისკრიმინაციიდან გამომდინარე, რადგან მათ მაღალი რისკის მატარებელ კლიენტებად მიიჩნევდნენ.

საპროცესო უფლებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებში

- საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომლის მიხედვით პირის განაჩენი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი, უნდა გასაჩივრებულიყო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში, თუმცაღა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა იწყებოდა არა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მხარისათვის გადაცემიდან, არამედ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტიდან.
- საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმები, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო საბოლოო და არ საჩივრდებოდა.
- საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომელიც კრძალავდა პროტესტის ნიშნად ბანერის, ლოზუნგის ან პლაკატის სპონტანურად და ხანმოკლე ვადით განთავსებას ერთი მხრივ, მესაკუთრის მიერ ან მისი თანხმობით კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტზე და მეორე მხრივ, საკრებულოს წევრის მიერ მისთვის სამუშაოდ გამოყოფილი სივრცის ფასადზე.

მხარეთა თანასწორობის უფლება სისხლის სამართლის პროცესში

- საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტის ნაწილი, რომელიც კრძალავდა ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის საქმეებზე პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ზემდგომი პროკურორის უარის სასამართლოში გასაჩივრებას.
- უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირი ვალდებულია დაიცვას სათანადო სიფრთხილე, მიჰყვეს დაწერილ და დაუწერელ ნორმებს, განსაკუთრებით სპეციფიურ გარემოებებში (მაგ. ექსტრემალური სპორტი) უბედური შემთხვევის რისკის თავიდან ასაცილებლად. ამ სტანდარტის დარღვევა წარმოადგენს დაუდევრობით ჩადენილ დანაშაულს.